პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 266 (9426) | სამშაბათი, 11 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

კომუნიზმის გზით ჩვენს წინსვლაში წამყვანი და მაორგანიზებელი ძალაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მებრძოლი კავშირი თანამოაზრე კომუნისტებისა, რომლებიც იბრძვიან ადამიანთა საზოგადოების გარდაქმნისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის საფუძველზე.

ახალი წარმატებები მოვიპოვოთ ეკონომიკის განვითარებაში!

„პრავდის“ 10/XI მოწინავე

საბჭოთა კავშირის ხალხებმა ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავი. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საოქტომბრო დემონსტრაციები იმის მკაფიო გამოხატულება იყო, რომ საბჭოთა ადამიანები ზნად არიან და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ლენინ—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, განაახორციელონ კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ამხანაგ სტალინის გენიალური წინასწარდასახულობანი.

პარტია, ამხანაგი სტალინი დაუცხრომლად ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ომისწინა სტალინური ხუთწლედების მანძილზე საბჭოთა კავშირმა გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ, ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე და მძლავრ ინდუსტრიულ სოციალისტურ სახელმწიფოდ. ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა სახელმწიფომ მოკლე ხანში აღადგინა ომით დანგრეული მეურნეობა და შემდგომ განავითარა იგი, უკან მოიტოვა ომამდელი დროის მაჩვენებლები. საბჭოთა ადამიანებმა წარმატებით შეასრულეს მეოთხე ხუთწლედი, რომელიც ახალი სახელოვანი ეტაპი იყო ჩვენი ქვეყნის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ჩვენს ხალხს კომუნიზმის შენებლობის დიადი სტალინური პროგრამის შემადგენელ ნაწილად მიაჩნია. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ იდეების კონკრეტულ განხორციელებას, შრომისა, რომელიც პარტიის XIX ყრილობის წინ გამოქვეყნდა. პარტიის ყრილობის დირექტივებში აისახა ამხანაგ სტალინის მიერ აღმოჩენილი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, რომლის არსებითი ნიშნები და მოთხოვნები ის არის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთელი საზოგადოების განუწყვეტლივ მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნების მიხედვით კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას წარმართავენ მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი აღმავლობის გზით, რომელიც ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

უახლოესი სამი ხუთწლედის მანძილზე სახალხო მეურნეობის აღმავლობის ისტორიული პროგრამა, რაც ამხანაგმა სტალინმა დასახა თავის 1946 წლის 9 თებერვლის სიტყვაში, ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად უთქვეთლად ვადაზე იქნება შესრულებული, ხალო ნავთის ამოღების დარგში ვადაზე ადრეც კი — უკვე ამ ხუთწლედში. პარტიის ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია ხუთწლედის მანძილზე სამრეწველო წარმოების დონის ამაღლება დაახლოებით 70 პროცენტით. ეს ნიშნავს, რომ 1955 წელს ჩვენი მრეწველობა საერთო პროდუქციის გამოშვების მხრივ ერთიანად გადაჭარბებს ომამდელ დონეს.

ჩვენი მრეწველობის მუშაკებს იმის ყველა შესაძლებლობა აქვთ, რომ არათუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ახალი ხუთწლედის დავალებანი. მეხუთე ხუთწლიანი გეგმით მრეწველობის მთელი საერთო პროდუქციის ზრდის საშუალო წლიური ტემპი განისაზღვრება დაახლოებით 12 პროცენტით. სინამდვილეში კი ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მრეწველობის საერთო პროდუქციის საშუალო წლიური მატება 14 პროცენტზე მეტს შეადგენს.

განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება წარმოების საშუალებათა მწარმოებელი მრეწველობა. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ერთ-ერთი წინასწარი პირობაა ის, რომ მტკიცედ უზრუნველყოთ მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატეს ზრდასთან ერთად.

„წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი ნაწარმოებში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“,—საჭიროა არა მარტო იმიტომ, რომ მან უნდა უზრუნველყოს მოწყობილობით რეგორც თავისი საკუთარი საწარმოები, ისე სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგის საწარმოებიც, არამედ იმიტომაც, რომ უიმისოდ საერთოდ შეუძლებელია გაფართოებული რეპროდუქციისა განხორციელება“.

ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში წარმოების საშუალებათა წარმოების მატების საშუალო წლიური ტემპი დასახულია 13 პროცენტის რაოდენობით. ფაქტიურად კი ახალი ხუთწლედის ორი წლის მანძილზე იგი 15 პროცენტს შეადგენს. მომდინარე წლის გეგმას წარმატებით ასრულებენ მეტალურგები, მეშახტეები, ნავთის მრეწველობის მუშაკები და მძიმე მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგების მუშაკები. საერთო პროდუქცია მანქანათმშენებლობისა, რომელიც ტექნიკური პროგრესის და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების სწრაფი ტემპის საფუძველს წარმოადგენს, წელს გაიზრდება 40-ზე მეტი პროცენტით 1950 წელთან შედარებით. კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის შემდგომ ელექტროფიკაციას. ახალ ხუთწლედში ელექტროენერგიის გამომუშავების საშუალო წლიური მატება დასახულია 12,5 პროცენტის რაოდენობით. ფაქტიურად კი ხუთწლედის ორი წლის მანძილზე იგი 13,6 პროცენტს შეადგენს.

წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდამ და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდამ საიმედო ბაზა შექმნა მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობის განვითარებისათვის. ახალი ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე მოხმარების საგნების წარმოების საშუალო წლიური მატება შეადგენს 13 პროცენტს ნაცვლად 11 პროცენტისა, რაც ხუთწლიანი გეგმის დირექტივებით არის გათვალისწინებული.

ამჟამად ჩვენი მრეწველობის ყველა დარგი აღჭურვილია უფრო სრულყოფილი ტექნიკით, მათ ჰყავთ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიციური კადრები, საწარმოები არ განიცდიან ნედლეულისა და მასალების ნაკლებობას. მოწინავე ტექნიკის, შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების გამოყენება, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება და მძიმე და შრომატევად სამუშაოთა შემდგომი მექანიზაცია უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას. მიმდინარე წელს შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1950 წელთან შედარებით იზრდება 17-ზე მეტი პროცენტით, ხოლო 1955 წელს იგი უნდა გაიზარდოს დაახლოებით 50 პროცენტით. სოციალისტური მრეწველობის მუშაობის დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. წელს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებული ეკონომია 46 მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენს.

საბჭოთა მრეწველობის მიერ ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მოპოვებული დიდი წარმატებები ცხადყოფს, თუ რა უდიდესი შესაძლებლობანი აქვთ ჩვენი სახალხო მეურნეობის მუშაკებს მათთვის დასახული ამოცანების შესასრულებლად. ახლა საქმე ის არის, რომ მთლიანად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი, გადაჭრით აღმოვფხვრათ მუშაობის ნაკლოვანებანი, გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ წარმოების რეზერვები.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მრეწველობის ცალკეული დარგებისა და საწარმოების მუშაობას ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებანი. მრეწველობის ზოგიერთი დარგი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, არ ასრულებს წარმოების დაწესებულ გეგმას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებებს. ჯერ კიდევ არის ისეთი საწარმოები, რომლებიც მუშაობენ წუყვეტებით, მიმართავენ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის დამზადების დავალებათა შესრულების ნაცვლად გეგმის გადამეტებით მეორეხარისხოვანი ნაწარმის დამზადების ანტიახალმწიფოებრივ პრაქტიკას, არღვევენ სახელმწიფოებრივ დისციპლინას პროდუქციის კომპლექტურობისა და ხარისხის მხრივ.

ასეთი ნაკლოვანებების წინააღმდეგ უალრესად გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ. სახელმწიფო გეგმა კანონია. ყველა საწარმო მოვალეა შეასრულოს მისთვის დაწესებული სახელმწიფო დავალება და ისეთი პროდუქციით უზრუნველყოს სახალხო მეურნეობა, რაც ამ უკანასკნელს ესაჭიროება. სამეურნეო ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ, რომ თვითეული საწარმო გეგმას ასრულებდეს არა მარტო საერთო პროდუქციის მოცულობის მხრივ, არამედ იმ მხრივაც, რომ აუცილებლად ამზადებდეს ყველა ნაწარმს სახელმწიფო გეგმის შესაბამისად, ეცადონ მიაღწიონ პროდუქციის ხარისხის სისტემატურ გაუმჯობესებას, გამოავლინონ და მთლიანად აღმოფხვრან მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან საწარმოთა ნორმალურ მუშაობას.

ლენინ—სტალინის პარტიის მიერ აღზრდილ საბჭოთა ადამიანებს არ სჩვეოდათ თვითდამშვიდებისა და ყოყოჩობის გრძნობა. მოპოვებულ მიღწევებს ისინი განიხილავენ როგორც საფეხურს ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად. პარტიის XIX ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა თვითკრიტიკისა და ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკის შემდგომი გამეფდული გაშლის განსაკუთრებული მნიშვნელობა. პარტიის ყრილობის ამ მოთხოვნის განხორციელებით, მუშაობის ნაკლოვანებათა მტკიცედ აღმოფხვრით საბჭოთა ადამიანები მიაღწევენ იმას, რომ მეხუთე ხუთწლედის დიდებული პროგრამა მთლიანად და გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

ახორციელებენ რა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ სტალინის მითითებებს, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა აამაღლონ მეურნეობის ხელმძღვანელობის დონე, ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ტექნიკასა და ეკონომიკას, განავითარონ მასების შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა მეხუთე სტალინური ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის გენიალური იდეებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელ თავის ღონისძიებებს წარმართავს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გადაწყვეტილებით ტყვარჩელის შახტმშენებლობის ტრესტის კოლექტივს მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

№ 1, № 3 სამშენებლო სამმართველოების და საბინაო-სამშენებლო სამმართველოს კოლექტივებს მიენიჭათ მესამე პრემიები, № 6 შახტის გვირაბგამყვანთა ორ ბრიგადას და № 3 შახტის ერთ ბრიგადას—ფულადი პრემიები 10 ათასი მანეთის რაოდენობით თვითეულს. (საქდესი).

გეგმების შესრულება

ჭუთაისის ოლქმა 5 ნოემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების წლიური გეგმა. სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარება გრძელდება.

• • •

წითელწყაროს რაიონმა 6 ნოემბრისათვის 100,4 პროცენტით შეასრულა საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით საშემოდგომო ხორბალი დათესონ 2.000 ჰექტარზე.

• • •

ამბროლაურის რაიონმა 5 ნოემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულა საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა. საშემოდგომო ხორბლის თესვა გრძელდება.

სსრ კავშირის დიდ თეატრში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა მოსკოვში

1952 წლის 6 ნოემბერი...

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის წინა დღე. განვლო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ბრძოლისა და გამარჯვებათა სამნახევარმა ათეულმა წელმა. საბჭოთა ხალხი ოქტომბრის დღესასწაულს ეგებება ახალი შესანიშნავი წარმატებებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

პარტიის XIX ყრილობამ დასახა მძლავრი წინსვლის დიდებული პროგრამა. ახალი ხუთწლედი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გზაზე გადადგმული დიდი ნაბიჯია. საბჭოთა ხალხის უფართოეს მასებს ამ პროგრამის მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებისათვის ბრძოლა მშობლიურ საკუთარ საქმედ მიაჩნიათ. პარტიის გადაწყვეტილებებით და ამხანაგ სტალინის გენიალური ნაწარმოებით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები ახალი ენერგიით, თავდადებით შრომობენ ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

სიხარულით აღნიშნავს ჩვენი ქვეყანა ოქტომბრის 35-ე წლისთავს, ადიდებს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს. ლამაზი, დიდებულია მოსკოვი — ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი — ახალი, საბჭოთა ეპოქის მედროშე. მისი მოედნები და ქუჩები მორთულია ალმებით, ყველგან მოჩანს საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებლების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. ტრანსპარანტებზეა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი.

გუშინ დიდ თეატრში მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომაზე შეიკრიბნენ დედაქალაქის საუკეთესო ადამიანები — მოსკოვის საწარმოთა და მშენებლობათა სტახანოველები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რევოლუციური ბრძოლების ვეტერანები, საბჭოთა არმიის მეომრები, მინისტრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები.

დარბაზში არიან აგრეთვე უცხო ქვეყნების მშრომელთა დელეგაციები, რომლებიც მოსკოვს ჩამოვიდნენ ოქტომბრის 35-ე წლისთავის დღესასწაულზე.

დარბაზი გაჩირაღდნებულია. სცენის თავზეა ტრანსპარანტი „გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადს დიდ სტალინს!“. სცენის სიღრმეში დროშების ფონზეა კაცობრიობის გენიოსების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები. ოქროსფრად ელვარებენ სიტყვები: „გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს!“. ორივე მხარეზე აღბეჭდილია ღირსშესანიშნავი თარიღი: „1917-1952“.

საღამოს 7 საათია. პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგი ი. ბ. სტალინი და მისი უახლოესი თანამებრძოლები. შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მათ.

ყველა დამსწრე ფეხზე დგება. გაისმის შეძახილები დიდი სტალინის პატივსაცემად: „სტალინს დიდება!“, „სტალინს ვაშა!“.

მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისადმი, გახსნა ამხ. მ. ა. იასნოვმა.

დარბაზში საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

სიტყვა მოხსენებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის შესახებ ეძლევა ამხ. მ. გ. პერვუხინს.

საბჭოთა კავშირის ხალხები საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 35-ე წლისთავს, — ამბობს მომხსენებელი, — დღესასწაულობენ ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. ეს გადაწყვეტილებანი კონკრეტული განსახიერებაა მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი თეორიისა, რომელიც გამდიდრდა ამხანაგ სტალინის კლასიკური შრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

მომხსენებელი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობაზე და აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მიდის მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი განვითარების გზით. ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობის ისტორიული პროგრამა უახლოესი სამი ხუთწლედისათვის, რაც ამხანაგმა სტალინმა დასახა თავის სიტყვაში ამომრჩეველთა წინაშე 1946 წლის 9 თებერვალს, უთუოდ ვადაში შესრულდება.

მომხსენებელს მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას, ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის რომ იბრძვიან. მთლიანად მრეწველობაში მიმდინარე წლის ათი თვის წარმოების გეგმა შესრულებულია 101 და მეტი პროცენტით.

მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს მძიმე მრეწველობის მიღწევებზე. მას მოჰყავს მკაფიო შედარებანი, რომლებიც ცხადყოფენ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების განსაკუთრებით სწრაფ განვითარებას. მეხუთე ხუთწლედის ორ წელიწადში ფოლადი დამზადდება თითქმის ორნახევარჯერ მეტი, ვიდრე მეოთხე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში. არაჩვეულებრივია ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ზრდა. უკანასკნელ დროს საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად საშუალოდ მწყობრში დგება ორჯერ მეტი ელექტროსიმძლავრე, ვიდრე „გოელროს“ გეგმით 10 წელიწადში ამუშავდა.

დიდი წარმატებებია მიღწეული აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგში. წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი შეადგენდა 8 მილიარდ ფუთს. მარცვლეულის პრობლემა გადაჭრილია მტკიცედ და საბოლოოდ.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო კეთილდღეობის ზრდასა და კულტურის განვითარებას. მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მაჩვენებელია ის, რომ ნაციონალური შემოსავალი 1950 წელთან შედარებით გადიდდა 25 პროცენტით. ფართო მასშტაბით ხორციელდება საბინაო მშენებლობა. ფართოვდება საშუალო განათლება ათწლიანი სწავლების საფუძველზე, მზადდება გადასვლა საყოველთაო პოლიტექნიკურ განათლებაზე.

ახორციელებს რა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პროგრამას, აღნიშნავს მომხსენებელი, ჩვენი ხალხი არასოდეს არ ივიწყებს, რომ საჭიროა განვამტკიცოთ სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვა.

ახასიათებს რა საერთაშორისო ვითარებას, მომხსენებელი ლაპარაკობს განვითარების ორ გეზზე, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძალების ზრდაზე, მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებაზე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში წარმოებს შემდგომი აღმავლობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. დიდი წარმატებებია მიღწეული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

უკანასკნელ დროს კაპიტალისტური ქვეყნების წარმოება ერთ წერტილზეა გაყინული. დაადგნენ რა გამალებული შეიარაღების გზას, კაპიტალისტური ქვეყნები კვეცავენ სამოქალაქო წარმოებას. სამხედრო ეკონომიკა უდიდეს სახსრებს ნთქამს. იზრდება მოსახლეობის გადასახადები, ძვირდება ფართო მოხმარების საქონლის ფასები. უარესდება მშრომელთა მდგომარეობა.

მომხსენებელი ამბობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები დაადგნენ ახალი მსოფლიო ომის მომზადების გზას. მაგრამ ხალხებს არა სურთ ომი, ისინი მშვიდობას მოითხოვენ და სულ უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ ომის გაჩაღებლებს.

ჩვენი დიადი სამშობლო მშვიდობის უძლეველი ბასტიონია. ჩვენი სახელმწიფოს მთელი მოღვაწეობა მომდინარეობს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სტალინური პოლიტიკის ნიშნით, ხალხთა მეგობრობის ნიშნით. მაგრამ მხოლოდ მთლად სულელებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა გამოწვეულია ჩვენი სახელმწიფოს სისუსტით. საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველი ძალა არაერთგზის დადასტურებულა. ახლა, როცა საბჭოთა კავშირი მარტო არ არის, როცა იგი სათავეში უდგას დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკს, მისი ძალა და ძლიერება განუზომლად გადიდდა.

— კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა თავისი სახელმწიფო ძლიერი და უძლეველი გახადა, — ამბობს მომხსენებელი. — ეს პარტიისა და ხალხის ბელადის ამხანაგ სტალინის უდიდესი ისტორიული დამსახურებაა.

ამხ. პერვუხინს მოხსენება არაერთგზის შეაწყვეტინეს ტაშით.

მქუხარე, აღტაცებული ტაშის გრიალში მომხსენებელი გამარჯვებას უსურვებს მძლავრ საბჭოთა კავშირს, კომუნისტურ პარტიას, ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს.

მოხსენების ბოლო სიტყვებს შეკრებილნი ხვდებიან მქუხარე ოვაციით ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის, საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის, მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიოსის დიდი სტალინის პატივსაცემად. (საკდესი).

ქალაქ თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1952 წლის 7 ნოემბერს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

საბჭოთა კავშირის მარშლის ს. კ. ტიმოშენკოს სიტყვა

7 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა ტრადიციული სამხედრო პარადი. მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად წითელ მოედანზე ლენინის მავზოლეუმს საზეიმო მარშით ჩაუარეს დედაქალაქის გარნიზონის ნაწილებმა.

წითელი მოედანი სადღესასწაულოდ არის მორთული.

ლენინის მავზოლეუმის პირდაპირ, ყოფილი მთავარი უნივერსალური მაღაზიის შენობაზეა კაცობრიობის გენიოსთა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ვეებერთელა პორტრეტები, თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო გერბები და ალმები.

შენობის მთელი ფასადის გასწვრივ გაჭიმულია ალისფერი ტრანსპარანტი: „გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს!“

მავზოლეუმის ორივე მხარეზე თეთრი ქვის ტრიბუნებზე არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს წევრები, მინისტრები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, სტალინური პრემიის ლაურეატები, მრეწველობის სახელგანთქმული სტახანოველები, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი.

ტრიბუნებზე საპატიო ადგილებს იკავებენ დედაქალაქის სტუმრები, მრავალი უცხო ქვეყნის მშრომელთა დელეგაციები, რომლებიც ჩამოვიდნენ სსრ კავშირში დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავის დღესასწაულზე.

სტუმრების ტრიბუნებზე არიან მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წევრები.

პარადის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მავზოლეუმის გრანიტის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგი ი. ბ. სტალინი და მისი უახლოესი თანამებრძოლები. წითელი მოედნის სტუმრები მჭუხარე ტაშით ხვდებიან დიდ ბელადს.

შესახვედრი მარშის ხმაზე კრემლის მაცხოვრის კოშკის კარიდან მოედანზე ჩამწკრივებულ ჯარებთან ცხენით გამოდის საბჭოთა კავშირის მარშალი ს. კ. ტიმოშენკო. პარადის სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ პ. ი. არტემიევის პატაკის მიღების შემდეგ მარშალი ტიმოშენკო ჩამოუვლის ჯარებს.

ადის რა შემდეგ მავზოლეუმის ტრიბუნაზე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. კ. ტიმოშენკო სიტყვით მიმართავს წითელ მოედანზე შეკრებილთ, ყველა საბჭოთა ადამიანს.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

ჩვენო ძვირფასო სტუმრებო — უცხოელო მეგობრებო!

საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს.

წლითიწლობით სულ უფრო ცხადი ხდება სიდიადე ოქტომბრის რევოლუციისა, რომელმაც დაიწყო ძირეული მობრუნება კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში ძველი, კაპიტალისტური სამყაროდან ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ.

მემამულეთა, კაპიტალისტთა ბატონობისაგან და უცხოეთის კაბალისაგან განთავისუფლებულმა ჩვენმა სამშობლომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა განვლო. უკვდავი ლენინის დროშით, დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით საბჭოთა ხალხებმა მოსპეს ჩვენი ქვეყნის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა და შექმნეს მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც გაუძლო ყველა განსაცდელს და განსაკუთრებული ძალით ცხადყო თავისი ძლიერება დიდ სამამულო ომში.

ომისშემდგომი წლები აღინიშნა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის და ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის შედეგომი განმტკიცებით, დიდი მიღწევებით მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესებით.

საბჭოთა ადამიანებმა მიმდინარე წელსაც უდიდესი გამარჯვებანი მოიპოვეს. ახალი წარმატებებია მიღწეული ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებაში. მთლიანად გადაჭრილია მარცვლეულის პრობლემა — მარცვლეულის საერთო მოსავალი წელს შეადგენს 8 მილიარდ ფუთს. განხორციელებულია ჩვენი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება რუსეთის დიდი მდინარეების — ვოლგისა და დონის შეერთების შესახებ. მწყობრში ჩადგა ვოლგა-დონის სანაოსნო არხი, რომელსაც დიდი ლენინის სახელი მიეკუთვნა.

მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა. ყრილობის მუშაობა უაღრესად მკაფიოდ ცხადყოფს ჩვენი კომუნისტური პარტიის რიგების ურღვევ ერთიანობასა და მონოლითობას, მის მხურვალე სიყვარულსა და უსაზღვრო ერთგულებას დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ სტალინის სიტყვა და მისი ახალი შესანიშნავი შრომები საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებენ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის. ისინი პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს უსახავენ კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის ახალ დიდებულ პერსპექტივებს.

ამ სანუკვარი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე მოპოვებულ ყველა წარმატებას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა საზოგადოების წამყვანი და ხელმძღვანელი ძალის — კომუნისტური პარტიის სწორ პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავს ყველა ხალხის მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმეს. მშვიდობისათვის ბრძოლას საბჭოთა სახელმწიფო ეწევა სრული ერთსულოვნებით სხვა მშვიდობისმოყვარე დემოკრატიულ სახელმწიფოებთან, როგორიც არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკას ნდობით, თანაგრძნობით ეკიდებიან და მხარს უჭერენ არა მარტო სოციალიზმის მშენებელი სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, არამედ აგრეთვე დედამიწის ყველა მოწინავე და პატიოსანი ადამიანი.

მართალია, ომის გამჩაღებლები ოცნებობენ ახალ მსოფლიო ომზე და ემზადებიან მისთვის, აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, მესამე წელია ბარბაროსულ ომს ეწევიან კორეელი ხალხის წინააღმდეგ და ცდილობენ საბჭოთა კავშირს წაუსისიანონ მთელი რიგი სახელმწიფოები.

მაგრამ ომის გამჩაღებლებმა უნდა იცოდნენ, რომ მსოფლიოს ხალხებს არა სურთ ომი, ხოლო ჩვენი სახელმწიფო ამჟამად უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე, და შესწევს უნარი გამანადგურებელი დარტყმით უპასუხოს აგრესორების დარტყმას. ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე დგანან საბჭოთა კავშირის მამაცი შეიარაღებული ძალები, რომლებსაც მოეპოვებათ ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გაანადგურონ გათავხედებული აგრესორები.

ჩვენს ხალხს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ღირსეულად შეასრულებენ დაკისრებულ ამოცანებს — საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის დაცვის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესების დაცვის ამოცანებს.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ლენინ—სტალინის პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას, ძირს ომის გამჩაღებლები!

დიდება ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს!

ვაშა!

• • •

ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს. გრიალებს არტილერიის სადღესასწაულო სალუტი.

იწყება პარადი. მწკრივიდან მწკრივში გადადის ბრძანების სიტყვები.

ყოველ წელს საბჭოთა შეიარაღებული ძალების მწყობრში პირველი ადგილი უკავია მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ლენინის ორდენოსან და სუვოროვის I ხარისხის ორდენოსან წითელდროშოვან სამხედრო აკადემიას. აკადემიის მსმენელნი პარადზე გამოიყვანა მისმა უფროსმა — საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ს. ჟადოვმა.

ოფიცერთა პოლკში, რომელიც წინ მოუძღვის სადღესასწაულო პარადის კოლონებს, თავმოყრილი არიან უმაღლესი სამხედრო სასწავლებლების მსმენელნი. არტილერისტ ოფიცერთა ბატალიონით წარმოდგენილია ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი და სუვოროვის I ხარისხის ორდენოსანი საარტილერიო აკადემია. ტანკისტ ოფიცერთა, ი. ბ. სტალინის სახელობის საბჭოთა არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების ლენინის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის მსმენელთა ბატალიონს წინ მოუძღვის ოცი ორდენისა და მედლის კავალერი საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი ვ. ა. ბოჩკოვსკი. ორასზე მეტი საბჭოთა კავშირის გმირია მფრინავ ოფიცერთა, წითელდროშოვანი სამხედრო-საჰაერო აკადემიის მსმენელთა ბატალიონში. ოფიცერთა ბატალიონებით არიან პარადზე წარმოდგენილი ვ. ი. ლენინის სახელობის წითელდროშოვანი ლენინის ორდენოსანი სამხედრო-პოლიტიკური აკადემია, ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის წითელდროშოვანი სამხედრო-საინჟინრო აკადემია, პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის წითელდროშოვანი ლენინის ორდენოსანი სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემია და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სხვა უმაღლესი სასწავლებლები.

საბჭოთა ადამიანის თვალს ახარებს უნაკლო მწყობრი, დიდებული გაწვრთნილობა, მხედრული უნარი. ფოლადისებური ნებისყოფა აქვთ გამოკვეთილი ნაბიჯით მწყობრში მიმავალ ამ ადამიანებს, — მათი ნებისყოფა შემოწმებულია სამშობლოსათვის ბრძოლების ცეცხლში; ერთგულება აქვთ გულში ამ ადამიანებს — მგზნებარე პატრიოტებს, ბოლომდე ერთგულნი არიან ლენინ—სტალინის დიადი საქმისა; ნათელია სტალინური სამხედრო მეცნიერების წლების მანძილზე გულმოდგინე სწავლით გამდიდრებული მათი მახვილი გონება...

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების თვთრ-ცისფერი ალმით მოედანზე შემოდის სამხედრო მეზღვაურთა ნაკრები პოლკი.

მეზღვაურებს მხედრულ გაწვრთნილობაში ეჯიბრებიან საბჭოთა ოფიცრების უძველესი სკოლის — რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის მოსკოვის წითელდროშოვანი ქვეითთა სასწავლებლის კურსანტები.

შემდეგ წითელ მოედანზე გამოკვეთილი ნაბიჯით ჩაიარეს მესაზღვრეებმა, კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის ფხიზელმა გუშაგებმა.

ქვეითთა კოლონამ ჩაიარა. მოედანი სულ ცოტა ხნით დაცარიელდა, შემდეგ იგი კვლავ გაივსო ჯარით, მაგრამ ეს იყო მოტორიზებული ჯარები. ისინი მოდიან საბჭოთა მარკის შესანიშნავი მანქანებით.

მოდის მ. ი. კალინინის სახელობის ტამანის სუვოროვის ორდენოსანი გვარდიის მსროლელი სახელგანთქმული წითელდროშოვანი დივიზია თავისი მეთაურის—გვარდიის გენერალ-მაიორის თ. თ. ბოჩკოვის წინამძღოლობით. საბჭოთა გვარდია ჩვენი სამშობლოს შეიარაღებული ძალების მშვენებაა. სწორედ ასეთია ტამანის დივიზია, რომელმაც ბრძოლაში მიიღო მაღალი წოდება.

მოტორიზებულ ქვეით ჯარს ცვლის არტილერიის კოლონა. მწკრივში ოთხოთხი მოდიან მშვენი მანქანები ქვემეხთა გუნდებით. თვითეულ მანქანაზე მიბმულია ზარბაზანი.

მსუბუქი, ლამაზი საზენიტო ქვემეხები საჰაერო თავდაცვის სამუალო და ძმიმე ქვემეხებმა შეცვალეს. ქვემეხების ზომა სულ მატულობს მანამდე, სანამ მძლავრი „ზისების“ მისაბმელზე არ გამოჩნდება გრძელლულიანი ზარბაზნები, რომლებიც განსაკუთრებით უყვართ არტილერისტებს.

დიდ გამოცოცხლებას იწვევენ გვარდიული ნაღმსატყორცნები, რომლებსაც ჯარში ალერსით უწოდებენ „კატიუშებს“. გრძელი ვერცხლისფერი ყუმბარები დალაგებულია მათს ფოლადის ფერმებზე, რომლებიც ოდნავაც არ მოგვაგონებენ საარტილერიო ქვემეხთა ჩვეულებრივ კონტურებს.

იწყება პარადის უკანასკნელი ეტაპი — მოედანზე შემოდის კანტემირის გვარდიის წითელდროშოვანი ლენინის ორდენოსანი სატანკო დივიზია.

წითელ მოედანზე მიდიან დაბალი, სწრაფი და მრისხანე ტანკები, სარკმლები დახურულია, ადამიანები არა სჩანან, მაგრამ საბრძოლო მანქანები სწორ მწკრივად მოდიან.

ლენინის მავზოლეუმს გრიალით ჩაუარეს უზარმაზარმა ტანკებმა „ის“ —„იოსებ სტალინი“. ამ მოძრავმა ციხეებმა, ჩაიარეს რა პარადის დასასრულს, თითქოს ხაზგასმით ცხადყვეს ჩვენი სამშობლოს შეიარაღებული ძალების უძლეველობა.

7 ნოემბერს საოქტომბრო პარადზე საბჭოთა შეიარაღებული ძალები წარმოდგენილი იყო მთელი მათი მრავალფეროვნებით.

წითელ მოედანზე საოქტომბრო პარადის მონაწილეებმა საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მთელი პირადი შემადგენლობის სახელით ცხადყვეს მაღალი დისციპლინა და ორგანიზებულობა, მხედრული საქმის ჩინებულად დაუფლება, დედა-სამშობლოსადმი და ლენინ—სტალინის დიადი პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება.

• • •

ნაკრები ორკესტრი ამთავრებს პარადს. მოედანზე სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ისტორიის მუზეუმის მხრიდან, როგორც ზვირთცემის ხმაური, მოისმის ზღვა ადამიანთა აღფრთოვანებული გუგუნი. კვლავ გრიალებენ ორკესტრები. უზარმაზარი წითელი მოედანი დემონსტრანტთა ხალისიანი ნაკადით ივსება. იწყება მოსკოველთა სადღესასწაულო სვლა. მჭუხარე ტაში გაისმის ტრიბუნებზე. მავზოლეუმის წინ გამოჩნდა მოსკოვის დროშა, რომელსაც აგვირგვინებს ლენინის ორდენი. ეს მაღალი ჯილდო დედაქალაქმა მიიღო თავისი 800 წლისთავის დღეს. ხუთი წლის წინათ ამ ღირსშესანიშნავ დღეს ამხანაგმა სტალინმა მოსკოვს უწოდა ახალი საბჭოთა ეპოქის მედროშე.

ორდენოსანი მოსკოვის დიდებით მოსილი დროშა მოაქვს ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ უფროს ოსტატს ი. ი. ტურტანოვს. დროშას ახლავს მოსკოვის მრეწველობის სტახანოველთა, ცნობილ მეცნიერთა, კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი.

ლამაზ სურათს წარმოადგენს ფიზკულტურელთა ათიათასიანი კოლონა. კვადრატად დაწყობილი კოლონის თავზე აღმართულია იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ვეებერთელა პორტრეტი. აი ისინი მიუახლოვდნენ მავზოლეუმს. ათასობით ხელი აღიმართა ყვავილის თაიგულებით. გაისმის აღფრთოვანებული შეძახილები მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის პატივსაცემად, მშობლიური კომუნისტური პარტიის პატივსაცემად, გმირი საბჭოთა ხალხის პატივსაცემად.

მოედანზე შემოდიან დედაქალაქის თორმეტი რაიონის მშრომელთა კოლონები. დემონსტრანტთა კოლონების თავზე მოჩანს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების მარქსისა და ენგელსის, რევოლუციის გენიოსების, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლების ლენინისა და სტალინის, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. ათასობით ალამზე წარწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მგზნებარე მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისათვის.

ჩვენი დიდი სოციალისტური სახელმწიფო ძალღონით აღსავსე დღესასწაულობს თავისი წარმოშობის დღეს. ჩვენი ქვეყნის მშრომელნი დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავს შეხვდნენ უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით და ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვით. ყრილობამ შეაჯამა სახელოვან გამარჯვებათა შედეგები და დასახა საბჭოთა საზოგადოების შემდგომი განვითარების დიადი ამოცანები.

ჩვენი პარტიის გრანდიოზული გეგმების საფუძველია ეკონომიკური კანონების ცოდნა, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეცნიერება, რომელიც ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა. შემოქმედებითი მარქსიზმის ახალი ნაწარმოები — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ იდეურად აიარაღებს პარტიასა და საბჭოთა ხალხს, განსაზღვრავს სოციალისტური ეკონომიკის მეცნიერულ საფუძვლებს. ეს კლასიკური შრომა ყველა ხალხს აიარაღებს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის გზების ცოდნით და კომუნიზმისათვის ჩვენი პარტიის ბრძოლის უმდიდრესი გამოცდილებით.

მრავალფეროვანია მოსკოვის საწარმოთა პროდუქცია. კოლონების გაფორმება გვაცნობს შესანიშნავ საბჭოთა ტექნიკას, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ქვეყანა. დედაქალაქის ყველა უდიდესი ქარხანა ასრულებს კომუნიზმის მშენებლობათა რთულ დავალებებს. დღევანდელ დემონსტრაციაში დიად მშენებლობებს განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ჩვენს თვალწინ ვეებერთელა პანოებია. ერთ მათგანზე გამოსახულია ლენინი და „გოელროს“ გეგმა—ჩვენი სამშობლოს ელექტროფიკაციის პირველი გეგმა, მეორე პანოზე კომუნიზმის დიად მშენებლობათა ფონზე გამოსახულია სტალინი. აი, ვ. ი. ლენინის სახელობის არხის დიდებული თაღი. მის თავზე ელვარებს საამაყო წარწერა „ვოლგა-დონი აშენდა!“

შორს მოჩანს ცისფერი ბურთი და გადაშლილი წიგნი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ემბლემა, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს საბჭოთა მეცნიერების მისწრაფებას — ჩასწვდნენ ბუნების საიდუმლოებას. მოედან აკადემიკოსები, მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები, პროფესორები, მრავალი ინსტიტუტის ხელმძღვანელები. დიდია საბჭოთა მეცნიერების მიღწევები ცოდნის ყველა დარგში. საბჭოთა მეცნიერები პირნათლად ასრულებენ ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ იმ ამოცანას, რომ არა მარტო დაეწიონ, არამედ უახლოეს ხანში კიდევაც გადააჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ყოველ წუთს სულ უფრო დიადი ხდება სადღესასწაულო სვლის სურათი. მრავალ ათასჯერ მეორდება ღირსშესანიშნავი ციფრი XXXV. დიდმა ოქტომბერმა 35 წლის წინათ დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — პროლეტარული რევოლუციების ერა. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, რომელსაც ლენინ—სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, მაღლა ასწია სოციალისტური რევოლუციის დროშა. ჩვენმა პარტიამ — მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელმა ბრიგადამ“ გაამართლა ხალხთა იმედი. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა ხალხმა შეძლო დაეცვა თავისი სამშობლო მრავალრიცხოვან მტერთა შემოსევისაგან, იხსნა ევროპისა და აზიის ხალხები ფაშისტური მონობის საფრთხისაგან, მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები და განუხრელად მიდის წინ. და არ არსებობს ისეთი ძალები, რომლებსაც შეეძლოთ შეაჩერონ საბჭოთა ქვეყნის — მთელი მსოფლიოს მშვიდობის ურყევი ბურჯის ძლევამოსილი წინსვლა.

ბევრ ფარზე აღბეჭდილია ძმური სალამის სიტყვები სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელების მიმართ, რომლებიც წარმატებით აშენებენ სოციალიზმს. მოსკოველები გამარჯვებას უსურვებენ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას.

მშრომელთა კოლონებში არის ტრანსპარანტები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მგზნებარე მოწოდებათა სიტყვებით:

— ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელმაც ახალ წარმატებებს მიაღწია ჩინეთის ძლიერი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში! განმტკიცდეს და აყვავდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობა — შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე ბურჯი!

ოქტომბრის დემონსტრაციის მონაწილენი ძმურ სალამს უძღვნიან გმირ კორეელ ხალხს, რომელიც მამაცურად იცავს თავისი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ალისფერ ტილოებზე აღბეჭდილია მისალმება გერმანელი ხალხისადმი, რომელიც იბრძვის ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობიანი მოყვარე გერმანიისათვის, იბრძვის საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებისათვის გერმანელი ხალხისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესების შესაბამისად.

დემონსტრანტებს მაღლა უჭირავთ ფარები, რომლებზეც გამოსახულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა ტომები. ეს ის წიგნებია, რომლებითაც საბჭოთა ადამიანები სწავლობენ როგორ იცხოვრონ, იმუშაონ, იბრძოლონ კომუნიზმისათვის. მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის შრომები თითქმის მილიარდიანი ტირაჟით არის გამოცემული ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა ხალხი გამოხატავს ყველა ქვეყნის პროგრესული ძალებისადმი უდიდესი პატივისცემის გრძნობას. საბჭოთა ხალხისათვის მახლობელი და ძვირფასია მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ყველა მებრძოლის ინტერესები. დემონსტრანტებს მოაქვთ უცხოეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა პორტრეტები. ბევრი მათგანი ამას წინათ იყო ჩვენს დედაქალაქში, დაესწრო პარტიის ისტორიულ XIX ყრილობას, გაიგონა გულში ჩამწვდომი სტალინური სიტყვა.

მანიფესტანტების რიგებში მოჩანს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლიუ შაო-ცის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ჯუ დეს პორტრეტები.

მოსკოველების კოლონების თავზე მოჩანს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტისა და პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იუზეფ ცირანკევიჩის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდის და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ანტონინ ზაპოტოცკის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვალკო ჩერვენკოვის და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის გიორგი დამიანოვის, უნგრეთის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივნის მატიას რაკოშის და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის იშტვან დობის, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გ. გეორგიუ-დეჟის და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის პეტრუ გროზას, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ენვერ ხოჯას და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ომერ ნიშანის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის გენერალური მდივნის ცედენბალის პორტრეტები.

მოჩანს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოტო გროტევოლის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვალტერ ულბრიხტის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის პორტრეტები.

დემონსტრაციის მონაწილეთა ნაკადის თავზე არის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის კიმ დუ ბონის პორტრეტები.

დემონსტრანტებს მოაქვთ ფრანგი ხალხის ბელადის მორის ტორეზის, იტალიელი ხალხის ბელადის პალმირო ტოლიატის, ამერიკის რევოლუციური მუშათა კლასის ბელადის უილიამ ფოსტერის, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დოლორეს იბარურის, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ჰარი პოლიტის პორტრეტები.

ოთხ საათს გაგრძელდა დედაქალაქის მშრომელთა საოქტომბრო დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო მილიონამდე კაცმა. სადღესასწაულო სვლა დამთავრდა სპორტსმენთა მწყობრი კოლონებით. მათ წითელ მოედანზე გამოატარეს ვეებერთელა ასოები, რომლებითაც ქმნიდნენ სიტყვებს:

წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

დემონსტრაციამ კვლავ ბრწყინვალედ ცხადყო საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. დედაქალაქის მშრომელებმა ცხადყვეს, რომ მზად არიან კვლავაც იყვნენ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის შენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. (საკდესი).

ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1952 წლის 7 ნოემბერს. 1. ფიზკულტურელები ტრიბუნის წინ. 2. თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.



პარადი და ქალაქ თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1952 წლის 7 ნოემბერს. მთავრობის ტრიბუნაზე (მარჯვნიდან): ამხანაგები ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი, რ. ს. კანდელაკი, ა. ი. მგელაძე, ა. ი. ანტონოვი, ზ. ნ. კეცხოველი, ა. ი. კოკჩლავაშვილი, ვ. გ. ცხოვრებაშვილი, ვ. დ. ბუჯიაშვილი, ვ. ვ. ბაქრაძე, ი. დ. კოკჩლამაზაშვილი, კ. დ. ბუჯიაშვილი, გ. დ. ჯავახიშვილი, ვ. კ. ბალავაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

თბილისის მშრომელთა ზეიმი

7 ნოემბრის დაუვიწყარი დილა ბერიას მოედანზე... თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობის ფასადზე ელვარებენ დიადი კომუნისტური პარტიის ფუძემდებლების, დიდი ოქტომბრის გმირების, ორგანიზატორების, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელების ლენინისა და სტალინის პორტრეტები. ირხევიან ალისფერი დროშები, მშრომელებს ახალი გამარჯვებებისაკენ მოუწოდებენ მგზნებარე ლოზუნგები.

ტრიბუნასთან იკრიბებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა კავშირის გმირები, მრეწველობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები, სტალინური პრემიის ლაურეატები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.

ბერიას მოედნისაკენ—საქართველოს დედაქალაქის გულისაკენ ისწრაფვიან მშრომელთა მრავალრიცხოვანი კოლონები. საამაყო მაჩვენებლებით მოდიან ისინი დემონსტრაციაზე. თბილისის მრავალმა ქარხანამ, ფაბრიკამ, საამქრომ, სამშენებლო ორგანიზაციამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო დავალება.

დილის 10 საათია...

მთავრობის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები: ა. მგელაძე, ზ. კეცხოველი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. ცხოვრებაშვილი, ვ. ბაქრაძე, ვ. ბუჯიაშვილი, ა. კოკჩლავაშვილი, კ. ბუჯიაშვილი, ი. კოკჩლამაზაშვილი, ვ. ბალავაძე, გ. ჯავახიშვილი, რ. კანდელაკი, მინისტრები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საწარმოთა წარჩინებული ადამიანები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

გაისმის ბრძანება:

— სმენა!

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ჭიშკრიდან გამოდის არმიის გენერალი ა. ანტონოვი. მას ეგებება პარადის სარდალი. პატაკის მიღების შემდეგ არმიის გენერალი ა. ანტონოვი ჩამოუვლის ჯარის ნაწილებს, ესალმება მათ და ულოცავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს.

პასუხად ისმის „ურა“ და „ვაშას“ მძლავრი გუგუნი.

ჯარების შემოვლის შემდეგ არმიის გენერალი ა. ანტონოვი ადის ტრიბუნაზე და სიტყვით მიმართავს ბერიას მოედანზე ჩამწკრივებულ ჯარებს, საქართველოს ყველა მშრომელს.

— საქართველოს სსრ მთავრობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით, — ამბობს არმიის გენერალი ა. ანტონოვი, — მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს!

იგი ლაპარაკობს იმ დიდ მიღწევებზე, რომლებითაც ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო, საბჭოთა ხალხი შეხვდა დიდი ოქტომბრის დღესასწაულს, ახასიათებს საქართველოს მშრომელების—მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის გმირულ შრომას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. შეეხო რა საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებას, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების მძლავრ აღმავლობას მთელ მსოფლიოში, მან აღნიშნა, თუ რა გამალებით ემზადება მორიგი სისხლისღვრისათვის, საშინელი ომისათვის კაპიტალისტური სამყარო ამერიკელი იმპერიალისტების მეთაურობით. — მათ ავიწყდებათ, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები, — განაგრძობს არმიის გენერალი ა. ანტონოვი, — რომლებმაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს დიდ სამამულო ომში და ღირსეულად დაიცვეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, კვლავაც ღირსეულად მოიხდიან ვალს სამშობლოს წინაშე.

გააშუქა რა საბჭოთა არმიის წინაშე მდგომი ამოცანები, არმიის გენერალი ა. ანტონოვი დღეგრძელობას უსურვებს დიდ საბჭოთა სამშობლოს, მის შეიარაღებული ძალების შემქმნელს კომუნისტურ პარტიას, ჩვენი ყველა გამარჯვების შემოქმედს, ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

მთელ მოედანს ეფინება მძლავრი მხედრული „ვაშა“, გრიალებენ საზეიმო სალუტის ქვემეხთა ზალპები, ორკესტრი ასრულებს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნს და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნს.

მოისმის დაფდაფის ხმა. გაცემულია ბრძანება: „საზეიმო მარშისათვის ნაბიჯით იარ!“ იწყება სამხედრო პარადი.

მტკიცე, მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს ტრიბუნის წინ ქვეითებმა, მეავტომატეებმა, სხვადასხვა დანიშნულებისა და გვარეობის ჯარის ნაწილთა წარმომადგენლებმა.

გაისმის მოტორების გუგუნი. მოედანზე შემოდის საარტილერიო კოლონა. თანდათან დიდდება ქვემეხთა კალიბრი, დიდდება საწევრების სიმძლავრე. გუგუნი უფრო ძლიერდება. იწყება სოციალიზმის უძლეველი საბრძოლო ტექნიკის მძლავრი პარადი. ეს ტექნიკა შექმნილია საბჭოთა კონსტრუქტორების, ინჟინრებისა და მუშების შემოქმედებითი აზრითა და შრომით. საბჭოთა ჯარებისა და მათი საბრძოლო ტექნიკის საზეიმო გავლას პარადის დამსწრენი მჭუხარე ტაშით ხვდებიან.

დამთავრდა პარადი... მან ცხადყო მზარდი ძლიერება ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც იცავენ საბჭოთა ხალხის ბედნიერ შრომას, დგანან მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საგუშაგოზე.

• • •

რუსთაველის პროსპექტზე აფრიალდნენ ალისფერი დროშები. კვლავ აჟღერდნენ ორკესტრები. დაიწყო თბილისელთა სადღესასწაულო სვლა.

მოდიან ლენინის რაიონის მშრომელები. მრავალი პლაკატი და დიაგრამა მოგვითხრობს მათს შესანიშნავ გამარჯვებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე. კოლონას წინ მიუძღვიან ახალგაზრდები—პიონერები და მოსწავლეები. ისინი მღერიან დიდ ბელადზე, ჩვენს საყვარელ სამშობლოზე, ბედნიერ და საამურ ცხოვრებაზე.

ტრიბუნიდან გაისმის მისალმების შეძახილები:

— გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს!

— გაუმარჯოს დიდ სტალინს!

— გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობას!

— გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს!

— გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!..

დემონსტრანტები ამ მოწოდებებს მჭუხარე ვაშათი უპასუხებენ.

დროშები, ლოზუნგები, დიდი ბელადის პორტრეტები მოაქვთ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებს, ინჟინრებს, მოსამსახურეებს... დიდი რევოლუციური ტრადიციების მქონეა ეს ქარხანა. პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე ახალგაზრდა სტალინი ამ ქარხნის მუშებს რაზმავდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შემდეგ მოდიან საორთქლმავლო და საელმავლო დეპოების, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი, ფოლად-თუჯის სამსხმელო, ავტოსარემონტო ქარხნების, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები... ყველა საწარმოს კოლექტივს მოაქვს დიდი სტალინისა და მისი სახელოვანი თანამებრძოლების პორტრეტები, თავიანთი გმირული შრომის გამომხატველი ტრანსპარანტები.

იწყება სტალინის რაიონის მშრომელთა დემონსტრაცია. მოედანზე სიმღერით გაიშალნენ ნორჩი ფიზკულტურელები. ესენი არიან 35-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც უჩვენეს მრავალგვარი სასპორტო ვარჯიში და თამამობანი.

მოედანზე მოდის დემონსტრანტთა უწყვეტი ნაკადი. პლაკატებსა და ტრანსპარანტებზე ასახულია პატივისცემა და სიყვარული, რითაც საბჭოთა ხალხი ეპყრობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, რომლებიც მტკიცედ დგანან სოციალიზმის გზაზე, მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან ომის წინააღმდეგ, იბრძვიან მშვიდობისა და დემოკრატიისათვის.

დემონსტრანტებს მოაქვთ ჩინელი ხალხის ბელადის, ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის პორტრეტი. თბილისელთა კოლონების თავზე ვხედავთ მომძე კომპარტიების ლიდერების, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი ადამიანების პორტრეტებს. წითელ მატერიაზე წარწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები, რომლებიც მიმართული არიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებისადმი, ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე მშრომელებისადმი.

ქალაქის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებს ცვლიან მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები, მოსწავლეები. სტალინის რაიონის მშრომელთა ლამაზად მოწყობილ კოლონებს შორის არიან ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუშაკები, ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის სამჭედლოს — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებელთა სახელოვანი კოლექტივი.

მოედანზე შემოდიან გარეუბნის რაიონის მშრომელები, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, უხვი მოსავლისათვის მებრძოლი ადამიანები. შემდეგ ტრიბუნის წინ ლამაზად გაიარეს მოლოტოვის, ბერიას, ორჯონიკიძის, კიროვისა და 26 კომისრის რაიონების მშრომელებმა.

შესანიშნავი მაჩვენებლებით მოვიდნენ დემონსტრაციაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, სამედიცინო ინსტიტუტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, სკოლები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები.

დაახლოებით 5 საათს გაგრძელდა თბილისის მშრომელთა სადღესასწაულო სვლა, რომელიც გადაიქცა სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების გრანდიოზულ დემონსტრაციად.

საღამოს თბილისის ცა გაანათა სადღესასწაულო სალუტების ზალპმა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის გამო ჩინელი ხალხის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ სახელოვან საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მთავრობას და პირადად თქვენ.

ჩინელი ხალხი უდიდესი სიხარულით მიესალმება უბადლო ბრწყინვალე წარმატებებს, რომლებიც დიდმა საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნიზმის მშენებლობაში. ეს წარმატებები ახალი უძლიერესი შთაგონებაა ჩინელი ხალხისათვის, რომელიც მალე დიდი მასშტაბით დაიწყებს ეკონომიკურ მშენებლობას, აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის.

ჩვენ მივესალმებით კოლოსალურ წარმატებებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის დაუცხრომელ ბრძოლაში. ამ წარმატებათა მეოხებით არაერთგზის ჩაიფუშა ომის პროვოკატორთა ხრიკები და განუზომლად განმტკიცდა მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა რწმენა მშვიდობის დაცვისა და ომის თავიდან აცილების საქმისადმი.

გამარჯვებას ვუსურვებ შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეს.

ვისურვებ, რომ ჩინეთისა და სსრ კავშირის ურღვევი დიადი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდეს და განვითარდეს.

მაო ძე-დუნი,
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე.

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს,
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი, კრემლი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის დღეს გთხოვთ, ამხანაგო თავმჯდომარეგ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით და ჩემი სახელით მიიღოთ უაღრესად მხურვალე მოლოცვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და პირადად თქვენდამი.

ისტორიული გამარჯვებანი საბჭოთა კავშირის ხალხებისა, რომლებიც კომუნიზმის დიდებულ შენობას აშენებენ, პოლონელი ხალხის აღფრთოვანებისა და შთაგონების წყაროა მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი განუწყვეტელი დახმარება სახალხო პოლონეთის მიღწევათა საფუძველია, მისი ძალისა და უშიშროების საფუძველია.

ნება. მიბოძეთ დღევანდელი დიადი წლისთავის გამო სულითა და გულით გისურვოთ ჯანმრთელობა და მრავალ წელს შრომა კაცობრიობის საკეთილდღეოდ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ხალხებს ვუსურვებ შემდგომი შესანიშნავი გამარჯვებანი კომუნიზმის მშენებლობაში და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

იუზეფ ცირანკევიჩი.

გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის გამო ნება მიბოძეთ, პატივცემულო ამხანაგო თავმჯდომარეგ, გულწრფელად მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის მთელ მომძე ხალხს და ჩეხოსლოვაკიის ხალხისა და მისი მთავრობის სახელით გადმოგცეთ უგულითადესი სალამი. დაუვიწყარი დღე, როცა მუშათა კლასმა სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ბურჟუაზიის ხელისუფლება, გახდა გაბატონებული კლასი და კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, მკაფიო მაგალითს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. ამ დიადი პოლიტიკური გამარჯვების შედეგად საბჭოთა კავშირმა, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა და კაპიტალისტური გარემოცვისა, შეძლო აეშენებინა სოციალისტური მეურნეობა და გაბედულად დასდგომოდა კომუნიზმის გზას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ ყველა ხალხის მშრომელნი დაარწმუნა, რომ სწორია ეს გზა, რომ იგი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შემდგომი წახალისება და მაგალითია.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — მშვიდობის მტკიცე დამცველს! კვლავაც იაროს მან წინ, კომუნიზმისაკენ, ყველა მშრომელთა საერთო მიზნისაკენ!

ანტონინ ზაპოტოცკი,
ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი, კრემლი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის გამო გთხოვთ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით, რუმინელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით მიიღოთ უაღრესად გულთბილი მოლოცვა საბჭოთა ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პირადად თქვენდამი, საყვარელო ამხანაგო სტალინ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეოხებით, ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებისა და იმ ყოველმხრივი ძმური დახმარების მეოხებით, რაც გამარჯვებული სოციალიზმის დიდმა ქვეყანამ და პირადად თქვენ გაგვიწიეთ. რუმინელ ხალხს ახლა აქვს შესაძლებლობა აშენოს სოციალიზმი და დაუცხრომლად განამტკიცოს თავისი თავისუფალი სამშობლო — აქტიური ფაქტორი მშვიდობის მძლავრი ბანაკისა, რომელსაც სათავეში უდგას ძლევამოსილი საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა ხალხისა და მთელი მშრომელი კაცობრიობის დიადი დღესასწაულის დღეს რუმინელი ხალხი კვლავ გამოთქვამს ულრმესი მადლიერებისა და მხურვალე სიყვარულის გრძნობას თავისი განმათავისუფლებლისა და მეგობრისადმი, დიდი საბჭოთა კავშირისადმი. რუმინელი ხალხი სულითა და გულით უსურვებს სახელოვან საბჭოთა ხალხს შემდგომ ბრწყინვალე წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის დიდებულ საქმეში და გისურვებთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჯანმრთელობას და მრავალ წელს სიცოცხლეს მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ მსოფლიოში მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.

გ. გეორგიუ-დეჯი,
რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
გენერალისიმუს სტალინს

სახელოვანი ოქტომბრის რევოლუციის 35-ე წლისთავის გამო გთხოვთ, ამხანაგო თავმჯდომარეგ, ვიეტნამის მთავრობისა და ხალხის სახელით, აგრეთვე პირადად ჩემი სახელით მიიღოთ უაღრესად მხურვალე მოლოცვა.

გთხოვთ გადასცეთ საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს, რომ ჩვენ უაღრესად გულწრფელად ვუსურვებთ წარმატებას სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ წინსვლაში. დიდი საბჭოთა ხალხის გამარჯვება აათკეცებს ჩვენს რწმენასა და ენერგიას თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგო თავმჯდომარეგ, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო. ში მინი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის დღესასწაული საქართველოში

ქუთაისი

ქალაქის ცენტრი — სტალინის სახელობის მოედანი დიადი დღესასწაულის დღეს დამშვენებული იყო დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების პორტრეტებით, საოქტომბრო ლოზუნგებით, ყვავილებით, წითელი დროშებით.

მშრომელთა დემონსტრაცია დაიწყო მოსწავლეების გამოსვლით. მათს ტრანსპარანტებზე ელვარებდა წარწერები — მადლობა დიდ სტალინს ბედნიერი ახალგაზრდობისათვის! ცოდნაშია ძალა, მეცნიერებაშია გამარჯვება! მოსწავლეთა გმირობა და მამაცობა ფრიადზე სწავლაა!

საწარმოთა კოლონებს წინ მიუძღოდა ჩვენი რესპუბლიკის სიამაყის — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი. მეავტომობილეებმა დემონსტრაციაზე გამოიტანეს გაუმჯობესებული სახის თვითსაცლელი ავტომანქანა, რაც საწარმოს სპეციალისტებმა დიადი დღესასწაულის წინ განახორციელეს.

მეავტომობილეები მანქანათმშენებლებმა შეცვალეს. — მოვიპოვოთ ახალი გამარჯვებანი კომუნიზმის მშენებლობაში! — ასეთი წარწერა ამშვენებდა სადღესასწაულოდ მორთულ ავტომანქანაზე დადგმულ წყალსატუმს, რომელსაც ქარხნის კოლექტივი სპეციალურად კომუნიზმის დიადი მშენებლობისათვის ამზადებს.

აბრეშუმკომბინატის კოლექტივი ღირსეულად შეეგება დიად დღესასწაულს. კომბინატს მესამე კვარტალში საწარმოებს შორის გაშლილ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მიეკუთვნა მეორე ადგილი და პრემია 150.000 მანეთი. კომბინატის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა 154 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

ტრიბუნის წინ მწყობრად ჩაიარეს ახალი წარმატებების აღმნუსხველი ტრანსპარანტებით ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, მაუდის ფაბრიკის, ლიტოპონის ქარხნის, სამრეწველო კომბინატის, შუშის ქარხნის და მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ქუთაისელმა რკინიგზელებმა გამოიტანეს ორიგინალურად გაკეთებული მაკეტი, რომელიც ასახავდა სადგურის ტერიტორიაზე მოძრავ ელექტრომატარებელს, სადგურის მოედანს და იქ მოძრავ ტროლეიბუსსა და ქუთაისურ ავტომანქანებს.

ტრიბუნის წინ ჩაიარეს პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების, მესხიშვილის სახელობის თეატრის, სამუსიკო სასწავლებლის და მთელ რიგ სხვა დაწესებულებათა კოლექტივებმა.

დემონსტრაცია დამთავრდა ფიზკულტურელების გამოსვლით. ათასზე მეტმა სპორტსმენმა ოსტატურად შეასრულა მხატვრული ვარჯიში და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

უკანასკნელად გამოვიდნენ რესპუბლიკური შეჯიბრების მონაწილე ცხენოსნები, რომლებსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ. **(საკ. კორ.).**

სუხუმი

დიდი ოქტომბრის წლისთავის წინადღეს სადღესასწაულო სახე მიიღო სუხუმმა. მისი ლამაზი ქუჩები მოირთო წითელი არშიებით, ლოზუნგებით, პლაკატებით. სახლების ფასადები დაამშვენა წითელმა ალმებმა, ყველგან მოჩანს დიდი ოქტომბრის ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლების სურათები.

7 ნოემბერს დილით ადრე გაიღვიძეს სუხუმის მშრომელებმა. ყველგან საზეიმო განწყობილება სუფევდა. დემონსტრაციის მოლოდინში კოლონებში გაისმის სიმღერა, სიცილ-კისკისი... ორკესტრი ასრულებს საზეიმო მელოდიებს. სრულ 12 საათზე იწყება სუხუმის მშრომელთა დემონსტრაცია. დემონსტრაციას წინ მიუძღვის საოქტომბრო შეჯიბრებაში გამარჯვებული სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც ათი თვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 67 მილიონი ცალი პაპიროსი და დიდი რაოდენობით გასწია ნედლი მასალის ეკონომია.

ტრიბუნის წინ მწყობრი ნაბიჯით გაიარეს რკინიგზელებმა, საფერმენტაციო ქარხნის, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, საკონსერვო ქარხნის, საკონდიტრო ფაბრიკის, სანავსადგურო მოწყობილობისა და ლიმონათის ქარხნის მუშებმა, საბჭოთა დაწესებულებებისა და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

მოედანზე შემოდიან სუხუმის სკოლების მოსწავლეები, რომლებიც გზადაგზა ასრულებენ ლამაზ ვარჯიშსა და სიმღერებს მშობლიურ სტალინზე და მშვიდობაზე.

ლ. პ. ბერიას სახელობის სუხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს მოაქვთ მომზე კომპარტიებისა და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა პორტრეტები.

ცოცხალი ყვავილების თაიგულებით მორთული მანქანებით გაიარეს ტრიბუნის წინ საბავშვო ბაღების აღსაზრდელებმა.

დემონსტრაციაში, რომელიც დაახლოებით 3 საათს გაგრძელდა, მრავალმა ათასმა მშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ მოეწყო ხალხმრავალი მასობრივი სეირნობა სტალინის მთაზე, რომელიც გვიან ღამემდე გაგრძელდა. **(საკ. კორ.).**

გათუმი

მშვენიერი სანახავი იყო 7 ნოემბრის მზიან დილას ბათუმი. ყველაფერს საზეიმო ელფერი ედო. ქალაქი მორთული იყო ალისფერი დროშებით, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით, ყვავილებისა და მწვანის ლამაზი გირლანდებით, ტრანსპარანტებით, სადღესასწაულო ლოზუნგებითა და პლაკატებით.

განსაკუთრებული მზრუნველობით მოერთოთ ბათუმელებს დემონსტრაციის ტრადიციული ადგილი — რევოლუციის მოედანი. ტრიბუნას თავს დაჰყურებენ რევოლუციის დიდი გენიოსების ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის პორტრეტები. მოედანი დამშვენებული იყო პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და ლენინ—სტალინის პარტიის საბრძოლო მოწოდებების ამსახველი სტენდებით, პლაკატებითა და ლოზუნგებით.

დილის 11 საათია. მოედანზე გაისმის ორკესტრის საზეიმო ხმა. იწყება ბათუმის მშრომელთა დემონსტრაცია. მოდიან სადღესასწაულო ფორმით გამოწყობილ მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი კოლონები. მათ მოაქვთ ცოცხალი ყვავილების თაიგულები, განუზომელი მადლობის სიტყვები დიდი სტალინისადმი ბედნიერი და საამური ბავშვობისათვის. ტრიბუნას მწყობრად ჩაუარეს ფანერის ქარხნის, ნავსადგურის, გემთშემკეთებელი და მანქანათმშენებელი ქარხნების, პურკომბინატისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებმა.

დემონსტრაციამ, რომელიც სამნახევარ საათს გაგრძელდა, ჩაიარა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის მზადყოფნის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის ნიშნით.

7, 8 და 9 ნოემბერს ქალაქის პარკებსა და ბაღებში მოეწყო მასობრივი სეირნობა, სტადიონებსა და სასპორტო მოედნებზე ჩატარდა ფიზკულტურულ-სპორტული შეჯიბრება. თეატრებსა და მუშათა კლუბებში გაიმართა სადღესასწაულო საღამოები და კონცერტები. **(საკ. კორ.).**

სტალინი

7 ნოემბერს, დილის 11 საათსა და 30 წუთზე დაიძრნენ მოზეიმე კოლონები სტალინის სახელობის მოედნისაკენ. დემონსტრანტებს მოაქვთ ყვავილთა თაიგულები, ტრანსპარანტები, რომლებიც მეტყველებენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ გამარჯვებათა შესახებ.

ხე-ტყის კომბინატის, მექანიკური ქარხნის, საშენ მასალათა საწარმოების მშრომელთა კოლონებში მოჩანს ბევრი მოწინავე ადამიანი, სტახანოვური შრომით რომ გაითქვეს სახელი და სულ უფრო და უფრო მეტ პროდუქციას აძლევენ დედა-სამშობლოს.

მწყობრი რიგებით მოდიან სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობის, სტამბის, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის, სამხატვრო სასწავლებლის მუშაკთა კოლონები. ხალხთა სტალინური ძმობისა და მეგობრობის დიადი დროშის ქვეშ განუწყვეტელ აღმავლობას განიცდის სამხრეთ ოსეთის ხელოვნება და კულტურა.

მეცნიერების დაუფლებისაკენ თავიანთი მისწრაფება საინტერესო მაკეტებით წარმოადგინეს ზეიმზე ქალაქის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების სტუდენტებმა და მოსწავლეებმა. განათლების ფრონტის მუშაკთა შორის არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი კეთილშობილური შრომით დაიმსახურეს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

„გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!“, „გაუმარჯოს მშვიდობის მედროშეს დიდ სტალინს!“ — ყვავილებით ამოქარგული ეს სანუკვარი სიტყვები მშვიდობისადმი, მშობლიური სტალინისადმი თავიანთ უსაზღვრო ერთგულების ნიშნად მოაქვთ დემონსტრაციის მონაწილეებს.

ძლევამოსილი ოქტომბრის დღესასწაულს მთელ ჩვენს დიად სამშობლოსთან ერთად ზეიმობდა ბელადის სახელობის ქალაქი, მთელი სამხრეთ ოსეთი. **(საკ. კორ.).**

დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავის დღესასწაული უცხოეთში

მთელი მსოფლიოს მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავი.

სახელოვანი წლისთავი განსაკუთრებული ზეიმით და სიხარულით იდღესასწაულეს ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

7 ნოემბრამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში გაჩაღდა მძლავრი შრომითი შეჯიბრება დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად. ასობით და ათასობით საწარმოს და ახალშენებლობის კოლექტივები ენთუზიაზმით კისრულობდნენ ვალდებულებებს—ვადამდე შეესრულებინათ თვიური და კვარტალური საწარმოო გეგმები, გაედიდებინათ პროდუქციის გამოშვება და გაეუმჯობესებინათ მისი ხარისხი, მიეცათ სახელმწიფოსათვის მეტი ზეგეგმითი დაგროვება. ღირსშესანიშნავი თარიღის წინ მშრომელებმა შეაჯამეს საოქტომბრო შეჯიბრების შედეგები. სიამაყით უპატაკებდნენ ისინი სახალხო ხელისუფლებას ახალ წარმატებათა შესახებ სოციალიზმის მშენებლობაში, აცხადებდნენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ კვლავაც დაუცხრომლად იშრომონ თავიანთი ბედნიერი მომავლისათვის, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის.

ამ დღეებში პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, ახალი ჩინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებმა კვლავ დაადასტურეს თავიანთი მხურვალე სიყვარული და ერთგულება საბჭოთა კავშირისადმი, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადის ი. ბ. სტალინისადმი. ამის მკაფიო მამოხატულება იყო, კერძოდ, სსრ კავშირთან მეგობრობის ერთთვიურების მოწყობა, რომლებიც ამ ქვეყნებში მიმდინარეობდა საბჭოთა ხალხთან მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის უმდიდრესი გამოცდილების ფართოდ გამოყენების ნიშნით.

ჩინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და სახალხო-დემოკრატიის სხვა ქვეყნებში გაიხსნა საბჭოთა კავშირის მიღწევებისადმი მიძღვნილი გამოფენები, ეწყობა საბჭოთა კინოფილმების ფესტივალები, ლექციები და მოხსენებანი სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის შესახებ. ყველგან გაიმართა მასობრივი კრებები, მიტინგები და საზეიმო სხდომები დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავის გამო.

უდიდესი აღმავლობით იდღესასწაულა დიადი წლისთავი ჩინელმა ხალხმა. პეკინში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ მაო ძე-დუნი, სუნ ძინ-ლინი, ჯუ დე, ჯოუ ენ-ლაი და მთავრობის სხვა წევრები, ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები, სახალხო-განმანთავისუფლებელი არმიის, დედაქალაქის საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის შესახებ გააკეთა ხენ ძინ-ლინმა.

პეკინის სტადიონზე გაიმართა დედაქალაქის 40-ათასიანი მიტინგი ოქტომბრის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად, რომელიც მოაწყო საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების პეკინის განყოფილებამ. მიტინგი გახსნა პეკინის მერის მოადგილემ უ ხანმა. დედაქალაქის მოსახლეობის სახელით იგი მხურვალედ მიესალმა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს ამხანაგ სტალინს და მთელ საბჭოთა ხალხს. დასასრულ გაიმართა საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის გამოსვლა.

პეკინის კინოთეატრ „შოუდუნი“ გაიხსნა საბჭოთა ფილმების ფესტივალი, რომელსაც დაესწრნენ პეკინის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, ხელოვნების, ლიტერატურისა და კინოს მუშაკები.

სადღესასწაულო მიტინგს შანხაიში დაესწრო 20.000-ზე მეტი კაცი—წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, მოსწავლე ახალგაზრდობისა და მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენლები. მიტინგზე გამოსულმა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების შანხაის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ პან ხან-ნიანმა შეკრებილთ მოუწოდა ისწავლონ საბჭოთა ხალხისაგან, გადმოიღონ მისი მოწინავე გამოცდილება, განამტკიცონ და გააფართოონ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობა — მშვიდობის ბურჯი შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში.

უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე ტაშით და შეძახილებით „გაუმარჯოს მაო ძე-დუნს!“, „გაუმარჯოს სტალინს!“, „გაუმარჯოს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“, მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი დეპეშა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

სადღესასწაულო კრებები და მიტინგები გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც.

საყოველთაო-სახალხო ზეიმი დიდი ოქტომბრის წლისთავის გამო გაიმართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავი ფართოდ აღნიშნეს პოლონეთის მშრომელებმა. ვარშავაში საზეიმო სხდომას დაესწრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ბერუტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მთავრობის წევრები ი. ცირანკევიჩის მეთაურობით, პოლონეთის მარშალი კ. როკოსოვსკი, ოფიცრები და გენერლები, დედაქალაქის საწარმოთა და ახალ მშენებლობათა შრომის მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის შესახებ გააკეთა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ზავადსკიმ. მომხსენებლის საბოლოო სიტყვებს, რომლებითაც მან გამარჯვება უსურვა სსრ კავშირს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და დიდ სტალინს, შეკრებილნი შეხვდნენ მქუხარე ოვაციებით და შეძახილებით „დიდება საყვარელ სტალინს!“.

მრავალი საზეიმო კრება გაიმართა პოლონეთის ქარხნებში, შახტებში, ახალშენებლობებზე, ქალაქებსა და სოფლებში. კრებების მონაწილეებმა ცხადყვეს უდიდესი ერთგულება საბჭოთა კავშირისადმი და გულწრფელი მადლობა საბჭოთა ხალხისა და დიდი სტალინისადმი სოციალიზმის მშენებლობაში მუდმივი უანგარო დახმარებისათვის.

პრაღაში ხალხმრავალ სადღესასწაულო მიტინგზე მიღებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის ხალხის წერილი საბჭოთა ხალხისადმი. იგი ზეიმით გადაეცა „მეგობრობისა და მშვიდობის წერილის“ ესტაფეტის მონაწილეთა ჯგუფს, რომელიც გაიელის ჩეხოსლოვაკიის ყველა ოლქს, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის საზღვრამდე მიიტანს და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს გადასცემს მას.

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად გაიმართა 500-ათასიანი დემონსტრაცია. 200 ათასზე მეტი მშრომელი მონაწილეობდა სოფიის სადღესასწაულო დემონსტრაციაში. მასობრივი დემონსტრაციები და მიტინგები გაიმართა უნგრეთში, ალბანეთში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს დღესასწაულობდნენ მშვიდობისა და გერმანიის ერთიანობისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლის ნიშნით. ბერლინში საზეიმო სხდომაზე მოხსენება სახელოვანი წლისთავის შესახებ გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა.

აღფრთოვანებით იდღესასწაულა დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავი მებრძოლმა კორეელმა ხალხმა. ფხენიანში, სინიიჯუში, ანჯუში, ვონსანში, ხამხიუნში, კანგში, ჩხონჯინში, კიმ ჩაკში და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ქალაქებში გაიმართა საზეიმო სხდომები. ფხენიანში სახელოვანი წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა პაკ ხენ ენმა. სხდომის მონაწილეებმა საყოველთაო ენთუზიაზმის ვითარებაში მიიღეს მისასალმებელი წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავი ფართოდ აღნიშნა კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესულმა საზოგადოებრიობამ.

„ყველა კონტინენტის დემოკრატიის, პროგრესისა და მშვიდობის მომხრენი, შრომის, მეცნიერებისა და კულტურის ადამიანები,—ხაზგასმით აღნიშნავდა იტალიური გაზეთი „უნიტა“,—მეასალმებიან ოქტომბრის რევოლუციას, როგორც თანამედროვე ისტორიის ყველაზე დიდ მოვლენას, როგორც ისეთ მოვლენას, რომელმაც ყველა ხალხს გაუხსნა მომავლის გზა, დიდად გაუადვილა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისა და წარმატებით დაცვის შესაძლებლობა“.

იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, ურუგვაის, შვეიცარიის, ნორვეგიის, ფინეთის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების ქალაქებში გაიმართა საზეიმო კრებები, რომლებიც მოაწყეს დემოკრატიულმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა. კრებებზე გამოსული ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ დიდი ოქტომბრის საერთაშორისო მნიშვნელობას, ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირის გიგანტურ მიღწევებზე, მის წამყვან როლზე ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

7 ნოემბერს საღამოს პარიზის საზამთრო ველოდრომის შენობაში გაიმართა პარიზელ მშრომელთა 30-ათასიანი მიტინგი. ტრიბუნაზე იყვნენ ეაკ დიუკლო, ოგიუსტ ლეკერი, ფრანსუა ბიიუ, ეტიენ ფაჟონი, რაიმონ გიუიო, ლეონ მოვე და საფრანგეთის კომპარტიის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები, რომლებსაც შეკრებილნი მხურვალედ შეხვდნენ, იგრეთვე შრომის საყოველთაო კონფედერაციის, ფრანგ ქალთა კავშირისა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის შესახებ გააკეთა ეაკ დიუკლომ. კრების მონაწილეებმა მიიღეს ტექსტი მისალოცი დეპეშისა საბჭოთა ხალხისა და დიდი სტალინისადმი.

„საფრანგეთის მუშათა კლასი და ხალხი, — ნათქვამია დეპეშაში, — აღმართავენ ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დროშას. ისინი ჩაშლიან ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა სამსახურში მყოფი მთავრობის შეთქმულებას, ისინი მტკიცედ იბრძოლებენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის“.

დღესასწაულობდნენ რა დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავს, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებმა უფრო გააქტიურეს მზადება ხალხთა მშვიდობის დაცვის მომავალი კონგრესისათვის.

მთელ რიგ ქვეყნებში, როგორც, მაგალითად, ინგლისში, ბელგიაში, იტალიაში სსრ კავშირთან მეგობრობის განმტკიცების საზოგადოებანი ამ დღეებში აწყობენ ერთთვიურებს, რომელთა მსვლელობაში მშრომელთა ფართო მასები ეცნობიან საბჭოთა კავშირის ხალხების ცხოვრებას. ამ ქვეყნების დემოკრატიული პრესა აღნიშნავს მშრომელთა უდიდეს ინტერესს სსრ კავშირის დიდი მიღწევებისადმი.

პრესის ცნობებით, ბეირუთში (ლიბანი) გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა დემონსტრაცია. დემონსტრაციის მონაწილეებს მიჰქონდათ ლოზუნგები მოწოდებები — მტკიცედ იბრძოლონ ეგრეთწოდებული „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის წინააღმდეგ. მშრომელები აცხადებდნენ: „საბჭოთა კავშირი არაბი ხალხების მეგობარია!“, „არაბი ხალხები არ იომებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ!“. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს, იხმარა ხელკეტები და სროლა ატეხა. ამის შედეგად ბევრი დემონსტრანტი დაიჭრა. დემონსტრაციის ზოგიერთი მონაწილე დაიპატიჟრეს.

გაზეთები „ტელეგრაფი“ და „აშ-შარკი“ გადმოგვცემენ, რომ მათს რედაქციებს ეწვევნენ ბეირუთის, ტრიპოლის, ჯუნიისა და ლიბანის სხვა ქალაქების მშრომელთა დელეგაციები და პროტესტი განაცხადეს პოლიციის მიერ დემონსტრანტებზე თავდასხმის წინააღმდეგ.

ჰიტლერული ტირანიისაგან საბჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებული ქვეყნების მშრომელებმა 7 ნოემბერს გვირგვინებით საზეიმოდ შეამკეს საბჭოთა მეომრების — განმათავისუფლებლების საფლავები.

პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთსა და სხვა ქვეყნებში მშრომელთა დელეგაციები, დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები ეწვივნენ სსრ კავშირის საელჩოებს და მიულოცეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავი.

საბჭოთა კავშირის საელჩოებსა და მისიებში საზღვარგარეთ გაიმართა დარბაზობანი, რომლებზეც იყვნენ თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები, კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები. (საკდესი).

თავისუფლება აღენ დე ლეაპს!

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დეპეშა

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციას გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც სოლიდარობას უცხადებს მის ბრძოლას აღენ ლე ლეაპის უკანონო დაპატიმრების წინააღმდეგ. დეპეშაში ნათქვამია:

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ძმურ სოლიდარობას უცხადებს საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციისა და საფრანგეთის მთელი მუშათა კლასის ბრძოლას შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცეთავმჯდომარის აღენ ლე ლეაპის უკანონო დაპატიმრების წინააღმდეგ.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო თქვენთან ერთად მტკიცე პროტესტს აცხადებს საფრანგეთის ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ პროფკავშირთა უფლებებს, და მოითხოვს დაუბრუნონ თავისუფლება აღენ ლე ლეაპს.

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 9 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

გუშინ ღამით ამერიკელმა ინტერვენტებმა კვლავ მხეცურად დაბომბეს მშვიდობიანი სოფლები ფხენიანის მიდამოებში. თავდასხმის შედეგად დაიღუპა 200-ზე მეტი მოხუცი, ქალი და ბავშვი.

არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 6 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის პრესის უკანასკნელი ცნობების თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნების 139.918 საარჩევნო უბანში (სულ 146.361 საარჩევნო უბანი) დამთავრდა ხმების დათვლა. გამოირკვა, რომ პრეზიდენტის არჩევლებმა — გენერალ ეიზენჰაუერის მომხრეებმა მოაგროვეს ამომრჩეველთა მიერ მიცემული ხმების 55 პროცენტამდე.

წინასწარი ცნობებით, წარმომადგენელთა პალატაში არჩეულია 220 რესპუბლიკელი და 205 დემოკრატი. ჯერ კიდევ არ არის სრული ცნობები წარმომადგენელთა პალატის არჩევნების შესახებ (სულ პალატაში 435 დეპუტატია).

ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა საბოლოო ცნობები სენატის არჩევნების შესახებ. როგორც ცნობილია, უნდა აერჩიათ 35 სენატორი. არჩეულია 12 დემოკრატი და 23 რესპუბლიკელი. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების სენატში ახლა არის 48 რესპუბლიკელი, 47 დემოკრატი და ერთი დამოუკიდებელი (სენატორი მორზე, ორეგონის შტატი).

სამხედრო წესების განგრძობა თეირანში

პარიზი, 7 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, 6 ნოემბერს ირანის მეჯლისმა ხმა მისცა თეირანში სამხედრო წესების განგრძობას 20 დეკემბრამდე.

გაიხსნა საქართველოს X ჩემპიონატი

პირველი დღე

ქუთაისი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). 8 ნოემბერს ქუთაისის ბოდრომზე გაიხსნა ცხენოსნობაში საქართველოს X ჩემპიონატი. გაიმართა ცხენოსანთა აღლუმი, რომელიც მიიღო საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ბ. კვინიხიძემ. ჩემპიონატის ალამი აღმართეს ზუგდიდის ცხენოსანთა გუნდის წარმომადგენლებმა თ. ჯოთანავამ, ე. ნაჭყებიამ, ნ. ხაინდრავამ და საბჭოთა კავშირის 1952 წლის ჩემპიონმა ჩეხვაში გუდუთელმა ცხენოსანმა ზ. ანშბამ.

შეჯიბრების მთავარი მსაჯის კ. ნაჭყებიას ნიშანზე იწყება უძლიერესთა შეხვედრები. მოედანზე გამოდიან ჩეხვასა და სამანეყო სვლაში პირველობის პრეტენდენტები. ჩეხვაში პირველ დღეს გაიმარჯვა ცხაკაიას რაიონის ცხენოსანმა ლ. ლაშქარავამ, რომელმაც 87 ქულა შეაგროვა.

ჩემპიონატის პირველ დღეს ცხენბურთში ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკისა“ და თბილისის ოლქის ნაკრები, აგრეთვე ქ. ფოთისა და ცხაკაიას რაიონის გუნდები. გამარჯვეს „სპარტაკისა“ და ცხაკაიას რაიონის ცხენბურთელებმა ანგარიშით 1:0 და 2:0. შეჯიბრება ცხენბურთში მიმდინარეობს ოლიმპიური სისტემით.

შემდეგ დაიწყო ისინდი. პირველი დღე აღინიშნა ისინდში ზუგდიდისა და ცხაკაიას რაიონების სპორტსმენთა წარმატებით, რომლებმაც მოიგეს შეხვედრა თბილისის ოლქის ნაკრებ და წალენჯიხის რაიონის გუნდებთან ანგარიშით 10:0 და 6:0.

პირველი დღის დასკვნითსა და ყველაზე საინტერესო ასპარეზობას წარმოადგენდა დღეი 2 კილომეტრზე დაბრაოლებები. გაიმარჯვა ზუგდიდელმა ვ. დარასელიამ, რომელმაც პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მეორე ადგილი დაიკავა ა. მაისაიამ, მესამე—გ. გუმბამ (აფხაზეთი).

მეორე დღე

9 ნოემბერს გაიმართა შეხვედრები ჩეხვაში, ისინდში, სამანეყო სვლაში, ცხენბურთში, მარულაში, მოეწყო აგრეთვე საჩვენებელი გამოსვლები მკერდაობაში, მიპატიჟებაში, ხტომაში.

მაყურებელთა ყურადღება მიიქცია შეჯიბრებამ 10 კილომეტრზე მარულაში. თვითეული გუნდიდან მონაწილეობდა ერთი მხედარი. ცხენოსნებს უნდა გაევლოთ 8 წრე. უკანასკნელ ორ წრემდე მეტწილად ლიდერობდა აჭარის გუნდის წარმომადგენელი ზ. მუთიძე. უკანასკნელი 2 წრე აღინიშნა ზუგდიდელ ო. ხაინდრავას შესანიშნავი ფინიშით და 10 კილომეტრიან მარულაში გამარჯვებაც მას მიეკუთვნა. მეორე ადგილი დაიკავა ზ. მუთიძემ, მესამე—სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ მხედარმა ვ. დათაშვილმა.

მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა ი. ერმოლაევის (თბილისი) საჩვენებელმა გამოსვლამ. ოსტატურად შეასრულა ხტომები ახალგაზრდა ცხენოსანმა მ. ძიძიგურმა (თბილისი, „სპარტაკი“).

მეორე დღეს ჩეხვაში გაიმარჯვა შ. კვარაცხელიამ (წალენჯიხის რაიონი), რომელმაც 105 ქულა შეაგროვა. ამავე დღეს ისინდში აფხაზეთის გუნდმა მოუგო „სპარტაკს“ ანგარიშით 5:1, წალენჯიხის რაიონის გუნდმა—თბილისის ოლქის ისინდის მოთამაშეებს ანგარიშით 3:0. გაიმარჯვა აგრეთვე ქ. ფოთის გუნდმა.

კენცხოვნების სახელობის ბიბლიოთეკაში

11 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წ